

# საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

## სენატის რეგლამენტი

### თავი I. ზოგადი დებულებები

#### მუხლი 1. სენატი

- 1.1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სენატი არის უნივერსიტეტის კოლექტიური წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 1.2. სენატის მუშაობის წესი და პროცედურები განისაზღვრება უნივერსიტეტის წესდებით, ამ რეგლამენტით და სხვა სამართლებრივი აქტებით. წინამდებარე რეგლამენტი მიიღება და საჭიროების შემთხვევაში მასში ცვლილებები შედის სენატის მიერ.
- 1.3. სენატის მუშაობა დაფუძნებულია საჯაროობის, სამართლიანობის, გამჭვირვალობის და პიროვნების თავისუფლების პრინციპებზე.

### თავი II. სენატის არჩევა და შემადგენლობა

#### მუხლი 2. სენატის არჩევის წესი და მისი შემადგენლობა

- 2.1. უნივერსიტეტის კოლექტიური წარმომადგენლობითი ორგანო – სენატი აირჩევა უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებიდან – ფაკულტეტებიდან წარმომადგენლობის საფუძველზე, აკადემიური პერსონალიდან ორ-ორი წევრისა (სრული ან ასოცირებული პროფესორი) და თითო სტუდენტის შემადგენლობით.
- 2.2. სენატის წევრთა არჩევა ხდება ფაკულტეტებზე, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. სენატში ასარჩევ კანდიდატთა და ამომრჩეველთა რეგისტრაციის, ასევე არჩევნების ჩატარების წესი განისაზღვრება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულებით (შემდგომში - არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება).
- 2.3. სენატში ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლებს ირჩევს შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი, ხოლო სტუდენტების წარმომადგენლებს – ფაკულტეტის ყველა საფეხურის სტუდენტი. ასისტენტ-პროფესორი, რომელიც იმავდროულად არის დოქტორანტი, უფლებამოსილია, საკუთარი სურვილით, მონაწილეობა მიიღოს შესაბამისად, ან აკადემიური პერსონალის ან სტუდენტთა წარმომადგენლების არჩევაში არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.
- 2.4. სენატის უფლებამოსილების ვადა ემთხვევა სწავლების ძირითადი საფეხურის დადგენილ ხანგრძლივობას და შეადგენს ოთხ წელს.
- 2.5. სენატის შემადგენლობაში შედის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორი.
- 2.6. რექტორი უფლებამოსილია, საზოგადოების წარმომადგენლებიდან სენატის შემადგენლობაში დამატებით წარადგინოს 3 წევრი.
- 2.7. სენატის წევრის უფლებამოსილება განისაზღვრება სენატის უფლებამოსილების ვადით.
- 2.8. სენატის შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იყვნენ უნივერსიტეტის რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ფაკულტეტების დეკანები,

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, აკადემიური საბჭოს წევრი.

### თავი III. სენატის უფლებამოსილება

#### მუხლი 3. სენატის უფლებამოსილების სფერო

3.1. სენატი უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად:

- ა) აკადემიურ საბჭოსთან ერთად შეიმუშავებს უნივერსიტეტის წესდების პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს;
- ბ) აკადემიურ საბჭოსთან ერთად შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის შინაგანაწესს და ეთიკის კოდექსს;
- გ) რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი წარდგინების საფუძველზე, აკადემიური საბჭოს მონაწილეობით განიხილავს და აკადემიური საბჭოსა და სენატის გაერთიანებული სხდომის დამსწრე წევრთა უმრავლესობით ამტკიცებს უნივერსიტეტის სტრუქტურას და საშტატო განრიგს;
- დ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს ბიუჯეტის შედგენის წესს, ადმინისტრაციის სტრუქტურასა და ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;
- ე) ირჩევს სენატის სპიკერს;
- ვ) ამტკიცებს რეგენტთა საბჭოს მიერ წარდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურას;
- ზ) თანხმობას აძლევს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს უნივერსიტეტის მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტის რეგენტთა საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენაზე;
- თ) თანხმობას აძლევს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წლიური ანგარიშის რეგენტთა საბჭოსათვის დასამტკიცებლად წარდგენაზე;
- ი) წელიწადში ორჯერ ისმენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ანგარიშს მიმდინარე წლის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე;
- კ) თანხმობას აძლევს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს ქონების იჯარით გაცემის თაობაზე.
- ლ) უფლებამოსილია აკადემიური საბჭოს მოტივირებული წინადადებით, ან საკუთარი ინიციატივით, რეგენტთა საბჭოს წინაშე დააყენოს საკითხი ადმინისტრაციის ხელმძღვანელისთვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე;
- მ) აკადემიური საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს;
- ნ) ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს;
- ო) აკადემიური საბჭოს მონაწილეობით განიხილავს და რეგენტთა საბჭოს შესათანხმებლად წარუდგენს უნივერსიტეტის განვითარების ფონდის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დირექტორის კანდიდატურას;
- პ) რეგენტთა საბჭოსთან შეთანხმებით ამტკიცებს უნივერსიტეტის განვითარების ფონდის წესდებას, ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის განვითარების ფონდის დირექტორს;
- ჟ) ისმენს ფონდის დირექტორის ანგარიშს გაწეული მუშაობის თაობაზე;
- რ) მინიმუმ წელიწადში ერთხელ მაინც ისმენს მენეჯერის ინფორმაციას ფაკულტეტის ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე;
- ს) უფლებამოსილია, უნივერსიტეტის რექტორთან შეთანხმებით, საჭიროების შემთხვევაში, თავისი კომპეტენციით გათვალისწინებულ ცალკეულ საკითხთა შესწავლის მიზნით, მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები და შექმნას ექსპერტთა ჯგუფი (ჯგუფები);

- ტ) ამტკიცებს უნივერსიტეტის სიმბოლიკას;
  - უ) ახორციელებს უნივერსიტეტის წესდებითა და ამ რეგლამენტით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;
- 3.2 სენატის სხდომების მომზადებისა და წარმართვის პროცედურა განისაზღვრება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებითა და ამ რეგლამენტით.

#### **მუხლი 4. უფლებამოსილების განხორციელების ფორმები**

- 4.1. სენატის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია სენატის გადაწყვეტილება, რომელსაც ხელს აწერს სენატის სპიკერი.
- 4.2. სენატი უფლებამოსილია მიიღოს მიმართვა, განცხადება, აგრეთვე, მოისმინოს და ცნობად მიიღოს ინფორმაცია, შეიმუშაოს რეკომენდაციები, დააყენოს შუამდგომლობა მართვის ორგანოებისა და მმართველი სუბიექტების წინაშე.
- 4.3. სენატს გააჩნია ბეჭედი და ბლანკი წარწერით: „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სენატი“.
- 4.4. სენატის სამუშაო და საქმისწარმოების ენაა – ქართული.

#### **მუხლი 5. სენატის იურიდიული მისამართი**

- 5.1. სენატის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №77; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ადმინისტრაციული კორპუსი, III სართული, ოთახი №329, ტელ: 2 3653996, E-mail: senati @gtu.ge.

### **თავი IV. სენატის სპიკერისა და წევრების უფლებამოსილება**

#### **მუხლი 6. სენატის სპიკერის უფლებამოსილება**

- 6.1. სენატის საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს და თავმჯდომარეობს სენატის სპიკერი, რომელსაც თავისი შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სენატი არაუმეტეს სენატის უფლებამოსილების ვადით.
- 6.2. სენატის სპიკერი:
  - ა) უნივერსიტეტის წესდებითა და ამ რეგლამენტით დადგენილი კომპეტენციის ფარგლებში, მოქმედებს სენატის სახელით ოფიციალური ურთიერთობებისა და ახორციელებს სხვა წარმომადგენლობით ფუნქციებს;
  - ბ) ორგანიზებას უწევს სენატის სხდომების ჩატარებას და თავმჯდომარეობს სენატის სხდომებს;
  - გ) ხელს აწერს სენატის გადაწყვეტილებებს, სხდომის ოქმებსა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებს;
  - დ) უზრუნველყოფს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებითა და ამ რეგლამენტით დადგენილი პროცედურების დაცვას;
  - ე) სენატის სხდომის მიმდინარეობისას უზრუნველყოფს აზრის თავისუფალ გამოხატვასა და საკითხის სრულყოფილ, ყოველმხრივ განხილვას;
  - ვ) აყენებს საკითხს კენჭისყრაზე და აცხადებს კენჭისყრის შედეგებს;
  - ზ) უფლებამოსილია, დასვას საკითხი დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის რიგგარეშე განხილვისა და კენჭისყრის შესახებ;
  - თ) უფლებამოსილია, მონაწილეობა მიიღოს სენატის მუდმივმოქმედი და დროებითი კომისიების მუშაობაში;

ო) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებითა და ამ რეგლამენტით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

## **მუხლი 7. სენატის სპიკერის უფლებამოსილების შეწყვეტა**

7.1 სენატის სპიკერის უფლებამოსილების შეწყვეტის პირობები და პროცედურები განისაზღვრება უნივერსიტეტის წესდებითა და ამ რეგლამენტით.

## **მუხლი 8. სენატის წევრთა უფლება-მოვალეობანი**

8.1. სენატის წევრი უფლებამოსილია:

- ა) მონაწილეობდეს სენატის არანაკლებ ერთი მუდმივმოქმედი კომისიის მუშაობაში;
- ბ) დასვას საკითხი სენატის სხდომაზე განსახილველად;
- გ) შეიტანოს შენიშვნები და წინადადებები სენატის კომპეტენციაში შემავალ ყველა საკითხზე;
- დ) მოითხოვოს და გამოვიდეს სიტყვით, შეკითხვებით მიმართოს მომხსენებელს, სპიკერს და მიიღოს პასუხი;
- ე) გამოთქვას აზრი იმ თანამდებობის პირთა კანდიდატურების შესახებ, რომელთაც ამტკიცებს საბჭო;
- ვ) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის ბიუჯეტის და სენატის კომპეტენციას მიკუთვნებულ სხვა საკითხების განხილვაში;
- ზ) განახორციელოს უნივერსიტეტის წესდებითა და ამ რეგლამენტით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება.

8.2. სენატის წევრს აქვს სენატის წევრის მოწმობა.

8.3. სენატის წევრი ვალდებულია:

- ა) დაესწროს და მონაწილეობა მიიღოს სენატის სხდომის მუშაობაში;
- ბ) მუდმივმოქმედი ან დროებითი კომისიის შემადგენლობაში შესვლის შემთხვევაში დაესწროს კომისიის სხდომებსა და შეკრებებს;
- გ) არ გამოიყენოს პირადი ინტერესებისათვის თავისი უფლებამოსილება და კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაცია;
- დ) დაიცვას უნივერსიტეტის წესდებითა და ამ რეგლამენტით დადგენილი მოთხოვნები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შინაგანაწესი და ეთიკის კოდექსი.

## **მუხლი 9. სენატის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა**

9.1. სენატის წევრის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

- ა) უნივერსიტეტთან სენატის წევრის შესაბამისი აკადემიური ან/და სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტა;
- ბ) პირადი განცხადება.

9.2 სენატის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში სენატის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით მისი წევრი ხდება კანდიდატი, რომელმაც შესაბამის არჩევნებში უფლებამოსილება შეწყვეტილი წევრის შემდეგ ხმების უმეტესი რაოდენობა მოაგროვა, ასეთის არარსებობის შემთხვევაში ვაკანტურ ადგილზე ტარდება არჩევნები არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით დადგენილი წესით. არჩევნები ტარდება შესაბამისი წარმომადგენლის ასარჩევად ამავე ვადით.

9.3 დაუშვებელია, უფლებამოსილება შეწყვეტილი აკადემიური პერსონალის წევრის ნაცვლად არჩეულ იქნეს სტუდენტი და პირიქით.

## თავი V. სენატის მუშაობის ორგანიზაცია

### მუხლი 10. სენატის სამდივნო

- 10.1. სენატის წევრთა მუშაობის ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურებას უზრუნველყოფს სენატის სამდივნო, რომლის სტრუქტურას და დებულებას სენატის წარდგინებით ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

### მუხლი 11. სენატის მუდმივმოქმედი და დროებითი კომისიები

- 11.1. სენატი თავის მუშაობას წარმართავს სენატის მუდმივმოქმედი და დროებითი კომისიების მეშვეობით. ამისთვის სენატი, თავისი შემადგენლობიდან, არაუმეტეს სენატის უფლებამოსილების ვადით, ქმნის მუდმივმოქმედ და დროებით კომისიებს, რომლებიც განიხილავენ და მოახსენებენ სენატს შესაბამისი საკითხების განხილვის შედეგებს და წარუდგენენ შესაბამის გადაწყვეტილებათა პროექტებს.
- 11.2. სენატი ქმნის მუდმივმოქმედ კომისიებს, მათ შორის:
- ა) საპროცედურო საკითხთა მუდმივმოქმედი კომისია;
  - ბ) საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა მუდმივმოქმედი კომისია;
  - გ) სასწავლო პროცესის და სწავლების საკითხთა მუდმივმოქმედი კომისია;
  - დ) სოციალური, კულტურისა და სპორტის საკითხთა მუდმივმოქმედი კომისია;
  - ე) მეცნიერებისა და ბიზნეს ინოვაციების საკითხთა მუდმივმოქმედი კომისია.
- 11.3. სენატი თითოეული კომისიის შემადგენლობიდან ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს არაუმეტეს კომისიის უფლებამოსილების ვადით, ღია კენჭისყრით, სენატის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით შესაძლოა აირჩეს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
- 11.4. სენატის სხდომაზე განსახილველი საკითხის მომზადება კომისიის მიერ მთავრდება არა უგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა სენატის სხდომამდე და განხილვის მასალები გადაწყვეტილების პროექტებთან ერთად გადაეცემა სენატის სპიკერს.
- 11.5. სენატის მიერ განსახილველი საკითხების აქტუალობიდან გამომდინარე, სენატი უფლებამოსილია, შექმნას დროებითი კომისია (კომისიები) რომელიმე კონკრეტული საკითხის განსახილველად.

### მუხლი 12. მუდმივმოქმედი კომისიის სამუშაო წესი

- 12.1. მუდმივმოქმედი კომისიების საქმიანობას საერთო კოორდინაციას უწევს სენატის სპიკერი.
- 12.2. მუდმივმოქმედი კომისიების შემადგენლობას ადგენს სპიკერი სენატის წევრებთან შეთანხმებით და წარადგენს სენატის სხდომაზე დასამტკიცებლად. კომისიების შემადგენლობა მტკიცდება სენატის წევრთა სიითი უმრავლესობით, ღია კენჭისყრით.
- 12.3. მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობაში შეიძლება იყოს მხოლოდ სენატის წევრი. სენატის წევრი უფლებამოსილია, იყოს არანაკლებ ერთი კომისიის შემადგენლობაში.
- 12.4. მუდმივმოქმედი კომისიის პირველი საორგანიზაციო სხდომა შეიმუშავებს კომისიის მუშაობის გეგმას და ამ კომისიის შემადგენლობიდან არაუმეტეს კომისიის უფლებამოსილების ვადით ღია კენჭისყრით ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს, კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

- 12.5. კომისიის სხდომას იწვევს და წარმართავს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო თუ კომისიის თავმჯდომარეს არ ჰყავს მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის თხოვნით კომისიის ერთ-ერთი წევრი.
- 12.6. კომისიის სხდომის ჩატარების პერიოდულობას განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე კომისიის წევრებს შორის კონსულტაციების შედეგად.
- 12.7. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.
- 12.8. კომისიის რიგგარეშე სხდომას იწვევს კომისიის თავმჯდომარე ან კომისიის წევრთა 1/3.
- 12.9. კომისიის სხდომას სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება დაესწროს სენატის ნებისმიერი წევრი.
- 12.10. კომისია უფლებამოსილია საკითხის განხილვისა და შესწავლისათვის მოიწვიოს შესაბამისი დარგის კვალიფიციური ექსპერტ-კონსულტანტები და მრჩეველები და საჭიროების შემთხვევაში სენატის სპიკერთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით გაუფორმოს ვადიანი შრომითი ხელშეკრულებები.
- 12.11. კომისია, კომისიის თავმჯდომარის ან კომისიის შემადგენლობის უმრავლესობის ინიციატივით სხდომაზე დასასწრებად იწვევს სენატის სპიკერს და უნივერსიტეტის ნებისმიერი თანამდებობის პირს მისგან შესაბამისი ინფორმაციის წარმოსადგენად.
- 12.12. კომისიის სხდომების მუშაობა საჯაროა, მასში მონაწილეობის მიღება შეუძლია უნივერსიტეტის ნებისმიერ თანამშრომელს და სტუდენტს, კომისიის თავმჯდომარესთან წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.
- 12.13. ინფორმაცია კომისიის სხდომების ჩატარების შესახებ განთავსდება ადმინისტრაციული კორპუსის განცხადებების დაფაზე, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და მიეწოდება კომისიის წევრებს სპიკერის აპარატის მიერ ორი დღით ადრე კომისიის სხდომამდე.

### **მუხლი 13. დროებითი კომისიის მუშაობის წესი**

- 13.1. სენატის სპიკერი ან სენატის შემადგენლობის არანაკლებ 1/3 უფლებამოსილია, სენატის სხდომაზე სათანადო დასაბუთებით (სადაც მითითებული უნდა იყოს დროებითი კომისიის შექმნის საფუძველი, განსახილველი საკითხების არეალი, ჯგუფის უფლებამოსილების ვადა, წევრთა რაოდენობა და წევრობის კანდიდატების წარდგენის ვადა), დააყენოს დროებითი კომისიის შექმნის საკითხი. სენატი აღნიშნული წინადადების მიზანშეწონილობას კენჭს უყრის სხდომაზე.
- 13.2. დროებითი კომისიის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
- 13.3. დროებითი კომისია იქმნება მხოლოდ კონკრეტული საკითხის შესასწავლად და უქმდება ვადის გასვლის საკითხის შესწავლის ამოწურვისთანავე.
- 13.4. დროებითი კომისის ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია სენატის წინაშე.
- 13.5. დროებითი კომისიის თავმჯდომარე აირჩევა ჯგუფის უფლებამოსილების ვადით ჯგუფის წევრთა უმრავლესობის მიერ ღია კენჭისყრით.
- 13.6. დროებითი კომისიის შემადგენლობას ამტკიცებს სენატი სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ღია კენჭისყრით.
- 13.7. დროებითი კომისის შემადგენლობაში შეიძლება იყოს მხოლოდ სენატის წევრი.
- 13.8. დროებითი კომისიის პირველი საორგანიზაციო სხდომა შეიმუშავებს კომისიის მუშაობის გეგმას და მისი შემადგენლობიდან არაუმეტეს კომისიის უფლებამოსილების ვადით ღია კენჭისყრით ირჩევს კომისიის თავმჯდომარეს, კომისის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.
- 13.9. დროებითი კომისიის სხდომას იწვევს და წარმართავს კომისიის თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ხო-

ლო თუ კომისიის თავმჯდომარეს არ ჰყავს მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის თხოვნით კომისიის ერთ-ერთი წევრი.

- 13.10. დროებითი კომისიის რიგგარეშე სხდომას იწვევს კომისიის ხელმძღვანელი ან კომისის წევრთა 1/3.
- 13.11. კომისია, კომისიის თავმჯდომარის ან კომისიის შემადგენლობის უმრავლესობის ინიციატივით სხდომაზე დასასწრებად იწვევს სენატის სპიკერს და უნივერსიტეტის ნებისმიერი თანამდებობის პირს მისგან შესაბამისი ინფორმაციის წარმოსადგენად.
- 13.12. დროებითი კომისიის სხდომის ჩატარების პერიოდულობას განსაზღვრავს კომისიის ხელმძღვანელი. კომისიის წევრებს შორის კონსულტაციების შედეგად.
- 13.13. დროებითი კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სიითი შემადგენლობის უმრავლესობა;

## **თავი VI. სენატის სხდომები**

### **მუხლი 14. სენატის პირველი სხდომის მოწვევა და ჩატარება**

- 14.1. სენატის პირველ სხდომას იწვევს უნივერსიტეტის რექტორი სენატის არჩევნებიდან არა უგვიანეს ორი კვირისა.
- 14.2. პირველ სხდომას თავმჯდომარეობს წარმომადგენლობითი საბჭოს უხუცესი წევრი. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის უმრავლესობა.
- 14.3. სენატი, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ცნობს თავის (ახლადარჩეული წევრების) უფლებამოსილებას პირველივე სხდომაზე.
- 14.4. პირველ სხდომაზე სენატი თავისი შემადგენლობიდან ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ირჩევს სპიკერს. სპიკერობის კანდიდატურის წარდგენის (დასახელების) უფლება აქვს სენატის წევრს, ან წევრთა ჯგუფს.
- 14.5. კენჭისყრას ატარებს სენატის მიერ სხდომაზე არჩეული ხმის დამთვლელი კომისია.
- 14.6. არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც ხმას მისცემს სენატის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი ორზე მეტია და ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, იმავე დღეს უმეტესი ხმების მქონე ორ კანდიდატს შორის ტარდება განმეორებითი კენჭისყრა. თუ ამ შემთხვევაშიც ვერ გამოვლინდა გამარჯვებული, არა უგვიანეს 5 დღის განმავლობაში ინიშნება ახალი არჩევნების თარიღი. ახალი არჩევნები ტარდება იმავე წესით. წინა არჩევნებში მონაწილე პრეტენდენტები შემდეგ არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებენ.

### **მუხლი 15. სენატის სხდომების დანიშვნა**

- 15.1. სენატის სხდომას ნიშნავს სპიკერი. ინფორმაცია სენატის სხდომის ჩატარების თარიღის, ადგილის და დღის წესრიგის შესახებ საჯარო გაცნობისათვის განთავსდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციული კორპუსის განცხადებების დაფაზე და უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე არაუგვიანეს სამი დღით ადრე სხდომის ჩატარებამდე. სხდომის ჩატარებამდე ორი დღით ადრე კი ეცნობებათ ამის შესახებ სენატის წევრებს.
- 15.2. სენატის სხდომები მოიწვევა სპიკერის ინიციატივით, ან სენატის წევრების არანაკლებ 1/3-ის მიერ, სასწავლო სემესტრის განმავლობაში არანაკლებ სამჯერ. საჭიროების შემთხვევაში სენატის სპიკერი ნიშნავს რიგგარეშე სხდომას. რიგგარეშე სხდომის ჩატარება შესაძლებელია აგრეთვე სენატის წევრთა 1/3 მოთხოვნით, კონკრეტული საკითხის განსახილველად. მოთხოვნა სენატის სხდომის დანიშვნისა და საკითხის განსახილველად, საკითხის

მასალებისა და გადაწყვეტილების პროექტთან ერთად გადაეცემა სპიკერს სენატის სხდომის გამართვამდე 5 სამუშაო დღით ადრე.

15.3. სენატის სხდომები ინიშნება ოთხშაბათობით.

### **მუხლი 16. სენატის სხდომის დღის წესრიგის შედგენა**

- 16.1. სენატის დღის წესრიგი დგება სენატის სპიკერის მიერ სენატის მუდმივმოქმედი და დროებითი კომისიების თავმჯდომარეებთან შეთანხმებით სხდომის ჩატარებამდე არაუგვიანეს 5 დღით ადრე.
- 16.2. სენატის წევრთა 10-კაციანი ჯგუფი უფლებამოსილია წარუდგინოს სპიკერს დღის წესრიგში დამატებით შესატანი საკითხი სხდომის ჩატარებამდე არაუგვიანეს 5 დღით ადრე.
- 16.3. სენატის ნებისმიერი წევრი სხდომაზე დღის წესრიგის განხილვის დროს უფლებამოსილია, დააყენოს საკითხი დღის წესრიგში დამატებითი საკითხის შეტანის თაობაზე. გადაწყვეტილებას ამ საკითხის დღის წესრიგში შეტანის შესახებ ღებულობს სენატი ღია კენჭისყრით, დამსწრეთა უმრავლესობით.
- 16.4. სენატის დღის წესრიგი სენატის წევრებს დაეგზავნება არაუგვიანეს 2 დღით ადრე სხდომის ჩატარებამდე.
- 16.5. სენატის წევრებისათვის სხდომის მასალების გაცნობის ორგანიზებას უზრუნველყოფს სპიკერის აპარატი.

### **მუხლი 17. სენატის სხდომების წარმართვა**

- 17.1. სენატის სხდომების ჩატარებას ორგანიზებას უწევს და თავმჯდომარეობს სპიკერი. სპიკერის არ ყოფნის შემთხვევაში სპიკერის დავალებით სხდომას უძღვება სენატის ერთ-ერთი წევრი. სპიკერის დავალების არ არსებობის შემთხვევაში სხდომას წარუძღვება სენატის ის წევრი, რომელიც აირჩევა სენატის დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით. ასეთ შემთხვევაში სხდომის წამყვანის არჩევა შეიტანება დღის წესრიგის პირველ საკითხად და არჩევის პროცედურას წაუძღვება სხდომაზე დამსწრე წევრთაგან უხუცესი.
- 17.2. სენატის სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას თუ მას ესწრება სენატის სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
- 17.3. სხდომის ოქმის წარმოებისათვის სპიკერის წარდგინებით აირჩევა სხდომის მდივანი, სენატის წევრებიდან, ღია კენჭისყრით, დამსწრეთა უმრავლესობით. სხდომის მდივანი აირჩევა სენატის უფლებამოსილების ვადით – 4 წლით.
- 17.4. სხდომაზე დასწრება და კენჭისყრაში მონაწილეობა ფიქსირდება სენატის წევრობის დამადასტურებელი მოწმობით, ფარულ და სახელობით კენჭისყრაში მონაწილეობა კი – მოწმობის წარდგინთა და ხელისმოწერით.
- 17.5. სპიკერი (სხდომის თავმჯდომარე) სენატს წარუდგენს დღის წესრიგს, რომელიც მიიღება სენატის მიერ ღია კენჭისყრით, დამსწრეთა უმრავლესობით.
- 17.6. სენატის რეგლამენტის მიღება და რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ღია კენჭისყრით, სენატის სიითი შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით.
- 17.7. უნივერსიტეტის ბიუჯეტის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშის და საკადრო საკითხების დამტკიცებისას გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას ხმა მისცა სენატის სიითი შემადგენლობის უმრავლესობამ, სხვა დანარჩენ საკითხებზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობით.
- 17.8. სენატი გადაწყვეტილებას განსახილველ საკითხზე იღებს ღია კენჭისყრით. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატურის დამტკიცების პროცედურისათვის ტარდება ფარული კენჭისყრა.



- 17.9. სენატის წევრთა საერთო რაოდენობის 1/3-ს უფლება აქვს, მოითხოვოს ნებისმიერი საკითხის ფარული კენჭისყრით გადაწყვეტა. კენჭისყრა იქნება ფარული, თუ მას მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა უმრავლესობამ.
- 17.10. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, სენატი უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს სენატის წევრთა გამოკითხვის საფუძველზე, ამ მუხლით დადგენილი წესების გათვალისწინებით.
- 17.11. განსახილველ საკითხებზე მოხსენებისათვის მომხსენებელს ეძლევა დრო 20 წთ-მდე; კამათში გამომსვლელებს - 3-5 წთ. კითხვის დასმისა და შეფასებებისათვის თითო-თითო წუთი. სპიკერს შეუძლია ნებისმიერ დროს წარმოთქვას სიტყვა.

### **მუხლი 18. ოქმის წარმოება**

- 18.1. სენატის თითოეული სხდომის შესახებ იწარმოება ოქმი.
- 18.2. ოქმი მოიცავს:
  - ა) სხდომის თარიღს, სხდომის დაწყების და დასრულების დროს;
  - ბ) სხდომის წევრებისა და მოწვეულ პირთა სიას;
  - გ) დღის წესრიგს;
  - დ) სიტყვით გამომსვლელთა ტექსტსა და მიღებულ გადაწყვეტილებებს (ეს პუნქტი არ ეხება მუდმივმოქმედი და დროებითი კომისიების სხდომების ოქმებს);
- 18.3. განსახილველ საკითხზე წერილობითი განმარტებები გადაეცემა სპიკერს ოქმის დანართის სახით;
- 18.4. ოქმს ხელს აწერს სენატის სპიკერი (სხდომის თავმჯდომარე) და სენატის სხდომის მდივანი. ოქმის ბოლო გვერდზე დაისმება სენატის ბეჭედი. მუდმივმოქმედი და დროებითი კომისიის სხდომის ოქმს ხელს აწერს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარე.
- 18.5. სენატის სხდომის ოქმი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა (სხდომის ან მისი ნაწილის დახურვის შემთხვევაში).

### **მუხლი 19. სენატის სხდომაზე დასწრება**

- 19.1. სენატის სხდომა ღიაა. სენატის სპიკერის ან წევრთა ერთი მესამედის მოთხოვნით, შეიძლება დაყენებულ იქნას საკითხი სხდომის ან მისი ნაწილის დახურვის შესახებ. გადაწყვეტილება სხდომის დახურვის შესახებ მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობის მიერ ღია კენჭისყრით.
- 19.2. სენატის სხდომაზე დასწრება შეუძლია უნივერსიტეტის ყველა სტუდენტსა და თანამშრომელს, რომლებმაც წინასწარ, არაუგვიანეს სენატის სხდომამდე ერთი დღით ადრე სენატის სპიკერის აპარატში შეიტანეს შესაბამისი განაცხადი; მათ სპიკერის აპარატი გადასცემს სპეციალურ საშვს, სხდომათა დარბაზში შესასვლელად და სენატის სხდომაზე დასასწრებად.
- 19.3. სენატის სხდომაზე დასწრება ასევე შეუძლია ნებისმიერ სრულწლოვან პირს, რომელიც სენატის სხდომამდე არაუგვიანეს სამი დღით ადრე სენატის სპიკერის აპარატში შეიტანს შესაბამის განაცხადს, რომელშიც უნდა განიმარტოს მიზეზი, თუ რატომ სურს მას სხდომაზე დასწრება. სენატის სპიკერის აპარატი სპიკერთან შეთანხმებით გაინხილავს განაცხადს და დაადგენს, რამდენად მიზანშეწონილია განაცხადის შემომტანი პირის სხდომაზე დასწრება. სხდომამდე არაუგვიანეს ერთი დღით ადრე სპიკერის აპარატი შეატყობინებს განაცხადის შემომტან პირს მიღებულ გადაწყვეტილებას მისი სენატის სხდომაზე დასწრების შესახებ; დადებითი პასუხის შემთხვევაში ამ პირისათვის გაიცემა სპეციალური საშვი, სხდომათა დარბაზში შესასვლელად და სენატის სხდომაზე დასასწრებად. ამ საშვით პირი იკავებს სხდომის დარბაზში ასეთი სტუმრებისათვის გამოყოფილ ადგილს და არ ღებულობს

მონაწილეობას სხდომის მუშაობაში. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, პირს არგუმენტირებულად უნდა განემარტოს გადაწყვეტილების მიზეზი.

- 19.4. სენატის მიერ სხდომაზე მოწვეულ სტუმრებს მიეცემათ განსხვავებული ფერის საშვი სხდომაზე დასასწრებად და ისინი იკავებენ სხდომათა დარბაზში მათთვის განკუთვნილ რიგს. სპიკერის თანხმობით მათ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ (გამოვიდნენ სიტყვით, მისცენ საბჭოს განმარტება და სხვ.) იმ კონკრეტული საკითხის განხილვაში, რომელზეც იქნენ მოწვეული.

## **თავი VII. დასკვნითი დებულებები**

### **მუხლი 20. რეგლამენტის ძალაში შესვლა**

- 20.1. სენატის რეგლამენტი ძალაში შედის სენატის სხდომაზე დამტკიცებისთანავე.  
20.2. რეგლამენტი ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.